

ვებგვერდზე <https://tbcbank.ge/ka/agreements> განთავსებული „ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) მე-15 მუხლის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-54 პუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1.54 „ფუშ“ შეტყობინება - უშუალოდ კლიენტის მობილური ტელეფონის აპარატზე ან მობილ ბანკში გაგზავნილი შეტყობინება. „ფუშ“ შეტყობინების დეტალური აღწერა (მათ შორის, აქტივაცია/დეაქტივაცია) მოცემულია, მათ შორის, წინამდებარე ხელშეკრულებასა და ბანკის სხვადასხვა საინფორმაციო არხში (მათ შორის ბანკის ვებგვერდზე: <https://tbcbank.ge/ka/digital-services/sms-banking>).“

2. ხელშეკრულების პირველ მუხლს დაემატოს მე-59 პუნქტი შემდეგი შინაარსით:

„1.59 გასანდოებული/სანდო მოწყობილობა - მობილური ტელეფონის აპარატი ან/და სხვა მოწყობილობა (შემდგომში — „მოწყობილობა“), რომელიც კლიენტმა ციფრული არხის ავტორიზაციის პროცესში/ავტორიზაციის შემდგომ, შესაბამისი ფუნქციონალის გამოყენებით, სანდო მოწყობილობად მონიშნა. ერთი მოწყობილობის გასანდოება შესაძლებელია მხოლოდ ერთ კლიენტზე. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გააუქმოს მოწყობილობის სანდო სტატუსი, თუ მოწყობილობა დაკარგა, მოპარეს, მესამე პირის მფლობელობაში გადავიდა ან არსებობს ეჭვი, რომ მასზე უნებართვო წვდომა განხორციელდა.“

3. ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„3.7 საბანკო დღის დახურვის პროცესის გათვალისწინებით, იმ საბანკო პროდუქტების ან/და მომსახურებების შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა გაცემულ იქნას კალენდარული დღის 00:00 საათიდან მომდევნო სამუშაო დღის დადგომამდე პერიოდში, საბანკო პროდუქტის ან/და მომსახურების გაცემის თარიღად, შესაძლოა განისაზღვროს წინა საბანკო დღე. კლიენტი აცნობიერებს რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში გაცემულ საბანკო პროდუქტებს ან/და მომსახურებებზე შესაძლოა გავრცელდეს წინა საბანკო დღის თარიღით განსაზღვრული პირობები (მათ შორის საპროცენტო განაკვეთის დარიცხვაც განხორციელდება წინა საბანკო დღის მდგომარეობით).“

4. ხელშეკრულების მე-5 მუხლს დაემატოს მე-7 პუნქტი შემდეგი შინაარსით:

„5.7. ბანკი უფლებამოსილია რეკონვერტაციის, ასევე უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის/ტრანზაქციის შესრულებისას, ასევე უცხოური ვალუტის ანგარიშზე საკომისიოს დარიცხვის შემთხვევაში, აღნიშნული საკომისიო განსაზღვროს უცხოურ ვალუტაში და აღნიშნული საკომისიო ჩამოჭრას ოპერაციის/ტრანზაქციის შესაბამის უცხოურ ვალუტაში გახსნილი საბანკო ანგარიშიდან. ხსენებულ ანგარიშზე საკომისიოს ჩამოჭრისთვის საკმარისი თანხების არარსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია საკომისიო ჩამოჭრას კლიენტის ნებისმიერი სხვა ანგარიშიდან და ვალუტებს შორის კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონვერტაცია განახორციელოს კონვერტაციის მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით. ამასთან, ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრული საკომისიოს ჩამოჭრის მიზნით, ეროვნულ ვალუტაში გახსნილ ანგარიშზე საკმარისი თანხების არარსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი საკომისიო ჩამოჭრას კლიენტის უცხოურ ვალუტაში გახსნილი საბანკო ანგარიშიდან შესაბამისი უცხოურ ვალუტაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ვალუტების კონვერტაცია კონვერტაციის მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით.“

5. ხელშეკრულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„11.1. ნებისმიერი, მათ შორის სამართალწარმოების მიზნებისთვის განსაზღვრული შეტყობინების გასაგზავნად და ჩასაბარებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება, მათ შორის, შეუზღუდავად: 1) ელექტრონული ფოსტა; 2) ნებისმიერი ციფრული, სატელეფონო, საფოსტო გზავნილი, მოკლე ტექსტური შეტყობინება (სმს/MMS); 3) „ფუშ“ შეტყობინება; ან/და 4) საკომუნიკაციო აპლიკაციები (მათ შორის WhatsApp და ა.შ), 5) კომუნიკაციის სხვა საშუალება. ნებისმიერი ფორმით განხორციელებულ

შეტყობინებას აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა და შესაძლებელია შეტყობინებისთვის გამოყენებულ იქნას ერთობლივად, როგორც რამდენიმე, ისე ერთ-ერთი მათგანი. ამასთან, ბანკი არ არის ვალდებული, გამოიყენოს შეტყობინებისთვის განსაზღვრული რამდენიმე არხი, თუ ერთი რომელიმე მათგანით უზრუნველყოფილია კლიენტთან კომუნიკაცია. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში გამოიყენოს ავტომატური უწყობა.

6. ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„11.4. მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებლის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია 1) წინამდებარე ხელშეკრულებაში ან/და 2) მსესხებლის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში ან/და 3) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ისევე, როგორც ბანკის დისტანციური მომსახურების არხებში (მოზაილ/ინტერნეტ ბანკი და სხვ.) განთავსებული/გაგზავნილი შეტყობინება, ითვლება მსესხებლისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.“

7. გაუქმდეს ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის არსებული რედაქცია:

8. ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტს შეეცვალოს ნუმერაცია და განისაზღვროს ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-5 პუნქტად, რედაქციის უცვლელად:

9. ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტს შეეცვალოს ნუმერაცია და განისაზღვროს ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტად, რედაქციის უცვლელად:

10. ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-8 პუნქტს შეეცვალოს ნუმერაცია და განისაზღვროს ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტად, რედაქციის უცვლელად:

11. ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტს შეეცვალოს ნუმერაცია და განისაზღვროს ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-8 პუნქტად, რედაქციის უცვლელად:

12. ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-10 პუნქტს შეეცვალოს ნუმერაცია და განისაზღვროს ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტად, რედაქციის უცვლელად:

13. ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„13.5. მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, გადასახადების თავიდან არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა“

14. ხელშეკრულების მე-13 მუხლს დაემატოს 5.1.9 ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსით:

„13.5.1.9 კლიენტი ამავდროულად ეთანხმება „მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკას“, რომელიც განთავსებულია ბანკის შემდეგ ვებგვერდზე: <https://link.tbc.ge/bribery-corruption-tax-evasion-prevention-policy>.“

15. გაუქმდეს ხელშეკრულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის არსებული რედაქცია:

16. ხელშეკრულების მე-18 მუხლის მე-5 პუნქტს შეეცვალოს ნუმერაცია და განისაზღვროს ხელშეკრულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტად, რედაქციის უცვლელად:

17. ხელშეკრულების მე-18 მუხლის მე-6 პუნქტს შეეცვალოს ნუმერაცია და განისაზღვროს ხელშეკრულების მე-18 მუხლის მე-5 პუნქტად, რედაქციის უცვლელად:

18. ხელშეკრულების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-10 ქვეპუნქტს შეეცვალოს ნუმერაცია და განისაზღვროს ხელშეკრულების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-11 ქვეპუნქტად. ამასთან აღნიშნული პუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„21.2.11. ინტერნეტ/მობაილ ბანკში, როდესაც მობილური ტელეფონის ნომრის გამოყენებით ხდება სხვა საფინანსო ინსტიტუტის ბარათიდან ბანკის „ერთგულ“ საკრედიტო ბარათზე ან/და ოვერდრაფტის ბარათზე თანხის ჩარიცხვა, აღნიშნული თანხის კლიენტის საბანკო ანგარიშზე ასახვას, ბანკის პროცესებისგან დამოუკიდებელად, სჭირდება გარკვეული პერიოდი და კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულება/დაფარვა განხორციელდება თანხის კლიენტის საბანკო ანგარიშზე ფაქტობრივად ასახვის მომენტიდან. ზემოხსენებული გარემოების გათვალისწინებით, ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ ვალდებულებების შესრულებლობის მიზეზით წარმოშობილ ვადაგადაცილებაზე.“

19. ხელშეკრულების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-10 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„21.2.10. მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულების 21.2.9 პუნქტით განსაზღვრული დათქმისა, იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი წარმოადგენს თანხის მიმღები კლიენტის პროვაიდერს (მიმღები კლიენტის მომსახურე ბანკს) და მიმღები კლიენტის ანგარიშზე თანხის ასახვის ოპერაცია ექვემდებარება საკომისიოს გადახდას, ბანკი უფლებამოსილია, მიმღების ანგარიშზე ასახოს ბანკის, როგორც მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხული სრული თანხა და მიმღების ანგარიშზე სრული თანხის ასახვის შემდგომ ჩამოწეროს საკომისიო. კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული სრული თანხიდან, ჩამოწერილი საკომისიოს ოდენობის შესახებ, კლიენტს ინფორმაციის მიღება შეუძლია ანგარიშიდან ამონაწერის მეშვეობით.“

20. ხელშეკრულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„23.3. P2P გადახდა მობაილ ბანკში

23.3.1. P2P გადახდა მობაილ ბანკში გულისხმობს, საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული, კლიენტის კუთვნილი სადებეტო/საკრედიტო ბარათის კლიენტის მიერ მობაილ ბანკში დამატების საფუძველზე, კლიენტის ანგარიშიდან/ბარათიდან საფინანსო ინსტიტუტების ბარათზე ან/და საფინანსო ინსტიტუტის ბარათიდან კლიენტის ანგარიშზე/ბარათზე ან/და საფინანსო ინსტიტუტის ბარათებს შორის საბანკო ოპერაციების (თანხის ჩარიცხვა/გადარიცხვა) განხორციელებას ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ბანკის მიერ განსაზღვრული წესების/ლიმიტების შესაბამისად. ამავდროულად, ამ მუხლით განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში, კლიენტს შეუძლია ნებისმიერ მესამე პირს (მიუხედავად იმისა, მესამე პირი არის თუ არა ბანკის კლიენტი), საფინანსო ინსტიტუტში გადაურიცხოს თანხა მესამე პირის მობილურის ან/და ბარათის ნომრის გამოყენებით.

23.3.2. მომსახურების მიღება შეუძლია კლიენტს, რომელიც სარგებლობს მობაილ ბანკით და ფლობს საფინანსო ინსტიტუტის სადებეტო/საკრედიტო ბარათს.

23.3.3. მომსახურებით სარგებლობის წესები/პირობები (მათ შორის, მობაილ ბანკში საფინანსო ინსტიტუტის ბარათის დამატების დეტალური აღწერა, მესამე პირისთვის მობილურის ნომრით და ბარათის ნომრით გადარიცხვის პირობები/წესები, მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიოები და ა.შ.) განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: <https://tbcbank.ge/ka/instant-transfers> და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

23.3.4. კლიენტის განცხადებები და თანხმობები:

23.3.5. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი მომსახურების ფარგლებში საბანკო ოპერაციის განხორციელებისას კლიენტის მიერ მითითებული ნებისმიერი ინფორმაციის (მათ შორის ბარათის მონაცემების, მესამე პირის მობილურის ან/და ბარათის ნომრის) სისწორეზე;

23.3.6. კლიენტს არ აქვს უფლება მობაილ ბანკში დაამატოს სხვა პირის სარგებლობაში/მფლობელობაში არსებული ბარათები. ამასთან, ბანკი პასუხს არ აგებს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირობის (აკრძალვის) დარღვევით კლიენტის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე და ამგვარი ქმედებით გამოწვეულ შედეგებზე (მათ შორის ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიაღწეს კლიენტს ან/და სხვა პირს).“

21. ხელშეკრულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის დაემატოს მე-9 პუნქტი შემდეგი შინაარსით:

„24.2.9. „ფუშ“ შეტყობინებები მობაილ ბანკში

24.2.9.1. კლიენტის მიერ ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის „ფუშ“ შეტყობინებით მობაილ ბანკში მიღების არჩევის შემთხვევაში, ხსენებული ინფორმაცია „ფუშ“ შეტყობინების სახით იგზავნება მხოლოდ კლიენტის გასანდოებელ მოწყობილობაზე.

24.2.9.2. კლიენტი ვალდებულია მობაილ ბანკში გაასანდოოს მხოლოდ მის პირად მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული მოწყობილობა, რათა „ფუშ“ შეტყობინებების მეშვეობით კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია მიიღოს მხოლოდ და უშუალოდ კლიენტმა.

24.2.9.3. კლიენტი აცნობიერებს, რომ მესამე პირის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ მოწყობილობაში დაინსტალირებულ მობაილ ბანკის აპლიკაციაში ავტორიზაციისას აღნიშნული მოწყობილობის გასანდოების შემთხვევაში, „ფუშ“ შეტყობინებები (მათ შორის, კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია) გაიგზავნება მესამე პირის მოწყობილობაზე და შესაბამისად, შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს მოწყობილობის მფლობელი/მოსარგებლე მესამე პირისთვის. ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან აღნიშნულით გამოწვეულ შედეგებზე.

24.2.9.4. კლიენტის მიერ რამდენიმე მოწყობილობის გასანდოების შემთხვევაში, „ფუშ“ შეტყობინებები კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ტრანზაქციების შესახებ გაიგზავნება მხოლოდ იმ მოწყობილობაზე, რომელიც კლიენტის მიერ ბოლოს იქნა გასანდოებული.

24.2.9.5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ რამდენიმე გასანდოებული მოწყობილობიდან გაუქმდება ბოლოს გასანდოებული მოწყობილობის გასანდოება, „ფუშ“ შეტყობინებები კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ტრანზაქციების შესახებ გაიგზავნება დარჩენილი გასანდოებული მოწყობილობებიდან იმ მოწყობილობაზე, რომელიც კლიენტის მიერ ყველაზე გვიან (ბოლოს) იქნა გასანდოებული.

24.2.9.6. კლიენტი აცნობიერებს, რომ ყველა გასანდოებული მოწყობილობის გასანდოების გაუქმების (სანდო მოწყობილობის სტატუსის მოხსნის) შემთხვევაში, კლიენტი ვერ მიიღებს კლიენტის ანგარიშზეზე ტრანზაქციების შესახებ „ფუშ“ შეტყობინებებს.“

22. ხელშეკრულების 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის 26.6 ქვეპუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„27.1.26.6. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებით (ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტით) კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, განხორციელოს კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე არსებული შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ბლოკირება (შეუზღუდოს კლიენტს ხსენებული თანხის გამოყენების უფლება) და/ან ჩამოწერა, გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის დღის/რიცხვის ნებისმიერ მონაკვეთში. ამასთან, ბანკს უფლება აქვს, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მიზნით, საკრედიტო პროდუქტ(ებ)ზე ვადაგადაცილების დაფიქსირებისთანავე, მოახდინოს მსესხებლის, თანამსესხებლის ან/და კლიენტის თავდებ(ებ)ის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ვადაგადაცილებული (გადასახდელი) თანხ(ებ)ის ბლოკირება.“

23. წინამდებარე დოკუმენტის 1-22 პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებისთანავე.